მეორე მარცხი კიეველებთან

კიევი. რესპუბლიკური სტადიონი. 17 აგვისტო.

“დინამო” (კიევი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

კიევი: რომენსკი, კონკოვი, კაპლუნი, ჟურავლიოვი, დემიანენკო, ლოზინსკი, ბურიაკი (ბოიკო), ხაპსალისი (ევტუშენკო), ბესონოვი, ვერემეევი, ბლოხინი.

თბილისი: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე, დარასელია, ჭილაია, ჟვანია, ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია (ჩქარეული).

მსაჯი: ე. აზიმ–ზადე (ბაქო).

გაფრთხილებულია ჭილაია.

დუბლიორები – 5:1.

სულ ორიოდე ტურის წინ, I წრის მიწურულს, თბილისისა და კიევის “დინამოს” თანაკლუბელები თბილისში შეხვდნენ ერთმანეთს და გათამაშების ძალზე საპასუხისმგებლო ეტაპზე გამარჯვება კიეველებს ხვდათ წილად – 1:0. ახლა, II წრის მატჩი შედგა უკრაინის დედაქალაქში და წარმატება ისევ კიეველთა მხარეს იყო, თუმცა, თბილისელთათვის ამჯერადაც გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა შეუპოვარი ბრძოლა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ცნობილი ამბავია, რომ თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებს ეს უკვე თითქმის მესამე ათეული წელია თამაში არ მოუგიათ კიევში და ჩვენთვის სავალალო ეს ტრადიცია ამჯერადაც ძალაში დარჩა: გაიმარჯვეს კიეველებმა 1:0.

დასაწყისში თამაში ორმხრივი ბრძოლით, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, პირველივე წუთებზე ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ბლოხინს, ჩელებაძეს, შენგელიას. შემდგომში უპირატესობამ მასპინძელთა მხარეს გადაინაცვლა, ძნელი ბურთების აღება მოუხდა გაბელიას.

უპირატესობა ჰქონდათ კიეველებს მეორე ტაიმის დასაწყისშიც, სტუმრებმა მეტოქის რამდენიმე სახიფათო შეტევა მოიგერიეს, მაგრამ ბლოხინმა 56–ე წუთზე კარგად გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში – 1:0.

შემდგომში თბილისელთა თამაში რამდენადმე გააქტიურდა, შეტევებს მხარი აუბა მინდორზე ახლად გამოყვანილმა ჩქარეულმაც, მაგრამ კიეველთა დაცვის რიგების გარღვევა შეუძლებელი აღმოჩნდა. კიევის “დინამომ” მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში მეორე გამარჯვება მოიპოვა თბილისელ თანაკლუბელებთან.

“ლელო”, 19 აგვისტო, 1980 წ.